

# ივერი

გაზეთის დასაყვედურად და გერძო განცხადებ-  
ბათა დასაბჭედ უნდა მიჰმართონ: თვითონ  
რედაქციას, ახალ-ბეჭეუთის ქუჩაზედ, სახ-  
ლი № 9, შავრდოვს საგაზეთოს, ცენტრ-  
ალურს გრიქოვის წიგნების მაღაზიებს.  
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-  
ქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საბოლოო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერი“ 1 ივნის-  
სიღამ წლის დამლევაძლე  
ღირს 6 მან. 50 კაპ.

მართული თეატრი

სამშაბათს, 27-ს მაისს

ქართულ დრამატულ დასისა-  
გან წარმოდგენილი იქნება:

I

## არსენა

დრამა სამს მოქმედებად, თხზუ-  
ლება ა. მ. მოჩხუბარიძისა. ნაოს  
როლის შეასრულებს კნ. ბ. ავა-  
ლაყისა

II

## ლიპერტისმენტი

რომელშიც სხვათა შორის მო-  
წაწილობას მიიღებენ: ქ. გაბუნია,  
ანდრონიკოვისა, ბბ. ვაყა-ფშაველა,  
აწურელი, მოხვეე და სხვანი.

III

ლეოპოლი და კინტოპოლი

დასწიისი 8 1/2 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებისამებრ.

## ფელეტონი

უსხოთა შორის

ესპანისი მეფის დაბადება.—რო-  
გორ მილო ხალხმა ეს ამბავი.—  
მეფის ძიძის ამორჩევა.—ნათლობა  
მეფისა.—პორტუგალიის ტახტის მე-  
მკვიდრის ქორწინება.—დიუკ დე ბრა-  
განს და პრინცესა ამელია ორლეა-  
ნისა.—ქორწინების აღწერა.—საშ-  
ნელი ქარი მადრიდში.—დახოცილი  
ხალხი ქარისაგან.—დაჭრილითა ნა-  
ზვა დედოფლისაგან.—ზოლას ან-  
ლი რომანი „მიწა“.

მკითხველი უკვე დეპოზიტად შეი-  
ტყობდა, რომ ესპანისი დედოფალს  
ქრისტინას ვაჟი ეყოლა, რომელიც  
მეფედ აღიარა ხალხმა. ამ ამბის „ცე-  
რემონი“ ისე ჩაიარა, როგორც  
ჩვენ ამას წინადა აღწერეთ. ხალხი  
ყურს უგდებდა სულ განაზული  
ზარბაზნის სროლას და 17 რომ გა-  
დასცილდა, საშინელის სიამოვნების  
ხმა გაისმა, რადგანაც მიხედა რომ  
მეფე დაეხდა. მეფის სახელად დაარ-  
ქვეს ფერდინანდ ალფონსი. კორტე-

ტულისი, 23 მაისს

გაზეთმა „გაგაკაზმა“ ამ უკანას-  
ნელ დროს ორი მეთაური წერი-  
ლი შესწირა ხიზნების საქმეს. პირ-  
ველ წერილში პატივცემული გა-  
ზეთი ამბობს, რომ, როცა ღაზა-  
რაკი ჰქონდათ ბატონ-პობის გა-  
უქმების თაობაზედ, მაშინ თავად-  
აზნაურთა უმრავლესობა ურჩევდა  
მთავრობასა განთავისუფლებულ-  
თა გლენთა მიწების ხმარების საქ-  
მე იმ საფუძველზედ მოაწყოსო,  
რა საფუძველზედაც ხიზნები არი-  
ნო. „ეს ამბავი დიდად შესანიშნა-  
ვიაო, ამბობს მერე გაზეთი: რად-  
განაც თავად-აზნაურთა უმრავლე-  
სობა ამით გაჩვენებს, რომ ხიზ-  
ნობა მისთვის მეტად სასარგებ-  
ლოაო“. შესაძლოა, ამ ამბიდან  
სხვა დასკვნაც გამოიყვანა კაცსა,  
მაგრამ გაზეთს „გაგაკაზმა“ მართლ-  
ერთი ზემო აღნიშნული დასკვნა  
უნებებია და იყოს ნება მისი. ჩვენ  
ჯერ ამას არ გამოვეყიდეით, ჩვენ  
მართლ ამისი თქმა გვინდა, რომ  
საქმე, რომელიდამაც სხვა-და-სხვა  
დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყ-  
ვანოს, არ უნდა იყოს ხმარებული  
საბუთად მართლ ერთის დასკვნის-  
სათვის. ეს მართლ-მსჯელობის  
უცდლობელი კანონია.

ამ პირველ დასკვნადამ გაზეთს  
„გაგაკაზმა“ გამოჰყავს მეორე დასკვ-  
ნა: თუ ხიზნობა ესე სასარგებლოა  
თავად-აზნაურთათვის, მაშ თვითონ  
ხიზნებისათვის საზარალებელი უნ-  
და იყოსო. ასე ჰფიქრობს პატივ-  
ცემული გაზეთი და ამის დასამტ-  
კიცებლად ბ-ნ ვერმიშოვის ბრა-  
შიურადამ „ხიზანი და ხიზნობა“

სების პრეზიდენტმა ბ-ნმა მარტოს  
შემდეგის წერილით აცნობა თვის ამ-  
ხანაგებს მეფის დაბადება:

ესლა ჩვენ შვიქნით მოწამები დი-  
დის მოვლინებისა. ახლად გარდაცვალე-  
ბულის მეფის საფლავის მსახველნი, ჩვენ  
გლოვობდით და გვადებდით, აწ ახლად  
დაბადებულ მეფის აკვანი ვნახეთ და  
ჩვენ დაგვიბრუნდა სინარული და იმედი.  
დიდი ბედნიერება ჩვენთვის, რომ  
მომავლადამა მეფემ შვილი დაგვტოვა  
მონარხის დასამკვიდრებლად. ჩვენი  
მამა-პაპანი იცავდნენ თავისუფლებას, რო-  
მელსაც წარმოადგენდა პატარა ქალი  
აკვანშია, ესლა ჩვენ დავიცათ მონარხისა,  
რომელიც წარმოგვიდგენს მშვიდობიანო-  
ბას და რიგსა.

სენატში სავსატამ აცნობა ეს ამ-  
ბავი და როდესაც სიტყვა გაათავა,  
შემდეგი დაუშტა: „დედოფალი აწ  
მუარეელი ანგელოზი იქნება ესპანიის-  
საო, და იმედია ესპანისი ხალხი ამ  
ტიტულს მისცემსო“. მაშინვე შეიქ-  
ნა ყვირილი: „გაუმარჯოს მეფეს,  
გაუმარჯოს დედოფალს — რეგენტსა“.   
დედოფალს ყოველს სახელმწიფოსა-  
გან მოუვიდა დეპეშა მილოციისა.   
ახლად დაბადებული მეფე კარგად  
იმყოფება. მეფის ძიძის ამორჩევაზედ

მოჰყავს რამდენიმე ცნობა, რო-  
მელთაგანაც სჩანს, რომ ორთა-  
შუა რიცხვით ხიზნებს უოველ დე-  
სეტინა სახნავ-სათესს მამულზედ  
ცხრამეტ მანეთიდან ოცდა-ხუთს  
მანეთამდე დალა ერთმევათ წელი-  
წადში მემამულის სასარგებლო-  
დაო. თუ მხედველობაში მივიღებთ,  
რომ ჩვენში, თითქმის საყოველ-  
თავოდ მიღებულ ხვნა-თესვის წე-  
სისამებრ, ორიდამ ერთი დესეტი-  
ნა უოველთვის ისვენებს და მე-  
ორეა მართლ მოქმედებაში, გამოვა,  
რომ ხიზანს თითო ნამუშავარი  
დესეტინა უჯდება 38—50 მანე-  
თამდე წელიწადში, თუ მართლ,  
ბ-ნ ვერმიშოვის და „გაგაკაზმა“  
სიტყვისამებრ, 19—25 მანეთამდე  
დალას იხდის წელიწადში უოველს  
დესეტინაზედ საერთოდ, ესე იგი,  
იმაზედაც, რასაც ასვენებს.

ბევრი უცნაური რამ გაგვიგო-  
ნია ჩვენის ქვეყნის ახირებულ და  
ძალად-მაცხრანე მცოდნეთაგან და  
ეს ამბავი კ, რომ ნამუშავარმა  
სახნავ-სათესმა დესეტინამ მაგოდ-  
ნა დალა იხადოს, —ჯერ არა გვსმე-  
ნია. ბ-ნ ვერმიშოვის მით მანაც შე-  
ეწინარება ეს მართლ უცნაური  
ამბავი, რადგანაც თვითონვე ამბობს,  
რომ ამ ნაირი ცნობები მართლ  
ერთს დიდს მამულში მოკვრიბეო.  
იქნება იყოს სადმე ჩვენში ერთად-  
ერთი ამისთანა მამული, რომელიც  
ამოდენა დალას იძლევა, მხოლოდ  
საკვირველი ეს არის—ამ ერთად-  
ერთს მაგალითზედ როგორ ამ-  
ყარებს თავისს მსჯელობას გაზეთი  
„გაგაკაზმა“. რამდენი ადგილია, სა-  
ცა დალა არ ადგამტება ორსა და  
სამს მანეთს დესეტინაზედ!.. შორს

დიდი ამბავი იყო. მთელ ესპანიაში  
გაეცა ბანება, რომ წარმოდგენ  
ჯან-მრთელი ძიძები ყოველ წოდები-  
დგან, და მათ შორის ამორჩევა ექი-  
მებისაგან ერთი ძიძა და ერთი მისი  
თანამემწეო. რასაკვირველია, მრავალი  
დედაკაცი გამოცხადდნენ და მათ  
შორის არჩეულ იქნა ერთი სახელად  
მასიანა ჰუარია. ძიძა ეს მშვენიერი  
წარმოსადგენი დედა-კაცია 26 წლისა,  
შეეგერმანი, ლამაზის თვლებით და  
ფეხებამდინ თითო. ეს ბედნიერი დე-  
და-კაცი, რომელმაც ესლა კარლ მე-V  
სასახლეში უნდა იცხოვროს, ამ  
ორის კვირის წინადა პატარა დანგრე-  
ულ სახლში სცხოვრებდა, ასე რომ  
ვალი აიღო მადრიდში წასასვლელად.  
მისი თანამემწეო იმ სოფლიდან  
არის, საიდგანაც პირველი ძიძა. და-  
წუნებული ძიძებიც გულ-ნაკლულნი  
არ დაჩინენ: ყველას საზაო ფულად  
ათას-ათასი ფრანკი მიეცათ. ამ დაწუ-  
ნებულ ძიძებ შორის ბევრნი მაღალ  
წოდების და მდიდარნიც იყვნენ. რა-  
საკვირველია, ესენი ჯამაგირმა არ  
მიიწვია, მათ უნდოდათ მხოლოდ  
სახელი მემფის ძიძობისა!..  
22 მაისს ახალის რიცხვისას ნათ-

რომ არ წავიდე, საკმაო კაცმა  
თვალი დააკვიროს იმ ცნო-  
ბას, რომელიც ამ საგანზედ  
თვითონ მთავრობასა აქვს გა-  
მოძიებული და აღნიშნული. მთავ-  
რობისაგან დაბეჭდილი წერილი  
„Хизанское Положение“ ამტკიცებს,  
რომ ხიზნები თვითო დესეტინა  
სახნავ და სათიბ მამულზედ იხდი-  
ან ორ მანეთ და ხუთ-მასურადამ,  
სამ მანეთ და ცხრა მასურადამ  
(გვერდი 35). საკვირველია, ამის-  
თანა სარწმუნო ცნობას, მთავრო-  
ბის მიერ გამოძიებულს, როგორ  
მოარიდა თვალი გაზეთმა „გაგაკა-  
ზმა“ და ერთად-ერთს მაგალითზედ,  
ბ-ნ ვერმიშოვის მიერ გამოკვე-  
ლულზედ, შესდგა.

ჩვენ ჩვენი აზრი ხიზნობაზედ  
ვეცდებით შეძლებისამებრ გამოვს-  
თქვათ ოდესმე დაწვრილებით და  
საკმაო სივრცით, აქ მხოლოდ ის  
უნდა ადგვნიშნა, რომ „ის ადვო-  
კატური ხერხები და განგებ ბინდ-  
ბუნდის გარდაფენა საქმის არსება-  
ზედ“, რომელიცა პატივცემული  
გაზეთი „გაგაკაზმა“ ასე სამარლია-  
ნად ჰკიცხავს, გასაცხრველია უო-  
ველს შემთხვევაში, დაიჭრთ მემ-  
მულების მხარეს, თუ ხიზნებისას.  
ყოველს საზოგადოებრივს საქმე-  
ში, რაც უნდა მწვაზი იყოს, კაც-  
მა ჯერ უნდა მართალი ეძებოს,  
მხოლოდ მართალი და სხვა არა-  
რა. ჯერ უვლანზედ უწინარეს უმ-  
რავლესობათა და უმცირესთა შო-  
რის სიმართლე უნდა იყოს გამკით-  
ხველი; ამან, სიმართლემ უნდა  
მოაშველოს ერთმანეთში ეგ ორი  
მხარე. ჩვენის ფიქრით, საზოგა-  
დოებრივ საქმეში არც უმცირესი

უნდა შესწიროს კაცმა უმრავლე-  
სობას და არც უმრავლესობა უმ-  
ცირესობას, ორივე უნდა დაუმორ-  
ჩილოს მართლ სიმართლეს, რო-  
ცა კი შესაძლებელია. ადამიანთა  
საზოგადო ცხოვრება ისეთი რთუ-  
ლია, რომ ბევრში და ბევრგან  
ეგ სიმართლე ძნელად ადმოსა-  
ჩენია და მართლ ამ განსაკუთრე-  
ბულს შემთხვევაში უდღონო მართლ-  
მსაჯულება ადამიანისა სიმართლედ  
მას ადვიარებს, რაც უმრავლესო-  
ბისათვის სახიროა. ამ განსაკუთ-  
რებულ შემთხვევაში მეტი გზა არ  
არის, სხვა განსამარლების საბუ-  
თი ადამიანს დედეს აქამოდ ვერ  
ადმოუჩენია გარდა „უმრავლესო-  
ბის კანონისა“. ხოლო ეს იმას კი  
არა ჰწინააღმდეგავს, რომ იქვც, საცა  
მართალი ამგარად უმცირესისაგან  
არის, უსათუოდ უმრავლესობამ  
უმცირესობა სძლიოს და ითავა-  
ნოს. ეგ ძალ-მომრეობა იქნება  
და არა იგი სამართალი, რომლი-  
თაც ადამიანი ადამიანობს ვით უნეო-  
ბრივი არსება და რომლის გამოც  
ჩვენი ანდაზა ამბობს: სამართალი  
ამოთხრილი თვალი არ მეტყინე-  
ბაო.

ჩვენ ამას ამ ქამად იმიტომ კი  
არ ვამბობთ, რომ ხიზნების საქ-  
მეში ან ერთს მხარეს მივეკრძოთ,  
ან მეორეს. ჩვენ მართლ იმასა  
ვწუხვართ, რომ პატივცემული  
გაზეთი „გაგაკაზმა“ ამ შემთხვევაში  
მართლ ეგრედ წოდებულს „უმ-  
რავლესობის კანონს“ აწყობლია  
და სრულებით ურადდება არ მი-  
უქცევს იმ მართლისათვის, რომ-  
მელსაც ყოველთ უწინარეს ხელთ  
უნდა ეჭიროს სასწორი საზოგა-

ვა რომ დაიწყო, ძიძამ გადასცა პატა-  
რა მეფე ნათლისა. ყმაწვილი ძალიან  
სალი და ჯან-მთელი სჩანს. ესპანიაში  
ჩვეულებად ყოფილა ნათლობის  
დროს ყმაწვილს მარილს თურმე დააყ-  
რიან ტუჩებზედ. ამ შემთხვევაში პა-  
ტარა მეფემ თურმე დიდი ტირილი  
და ყვირილი შექნა. მას დაარქვეს  
სახელად: ალოფონს, ლეოს, იერდისანდ,  
მარი, იზიდრო, მასკაჟი, ოცჯერ ზარ-  
ბაზნის დაკლამ ხალხს შეატყობინა,  
რომ ნათლობა გათავდაო.

\* \* \*  
ამვე 22 მაისს ესპანისი მეზობელ  
სახელმწიფოში, პორტუგალიაში სხვა  
გვარი დღესასწაული იყო. პორტუგა-  
ლიის ტახტის მემკვიდრემ დიუკ დე  
პრავანსმა ჯვარი დაიწერა პრინცესა  
ამალია ორლეანელისა. მამა პრინ-  
ცესა ამალიასი არის „გრაფი პარიკისა“  
და ჩამომავალია იმ საფრანგეთის მე-  
ფეთა შტოდამ, რომელნიც იყვნენ  
ორლეანელები. ამ ქორწინებამ საფ-  
რანგეთში დიდი ამბავი მოახდინა.  
შარშან უფროსი ქალი გრაფ პარიკელ-  
მა დანიის მემკვიდრეს მისცა და ეხ-  
ლა მეორე ქალი პორტუგალიის ტახ-

დოგბრივის საქმის განაჩენისათვის. ჩვენ აქ ვერ არას ვიტყვი იმაზედ თუ, — რომელი მხარესაგან დასძლევს სასწორს ეს მართალი, ჩვენ მხოლოდ ვგვსურდა გვეჩვენებინა იგი განკითხვის გზა, რომელზედაც ვერ პირველად უნდა გაიაროს ხიზნების საქმე, ჩვენის ფიქრით. ჩვენ ვეცდებით შემდეგში გავსინჯოთ ხიზნების საქმე ამ გზითაც და უმრავლესობის კანონის მიხედვითაც.

### ახალი ამბავი

\* \* \* დარწმუნებით შევტყუეთ, რომ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» სახარი ეძლევა უხვი და მდიდარი მუზეუმი დააფუძნოს ძველის, იშვიათის ნივთებისა, ამისათვის ერთი ძველის ნივთების მოყვარული, რომელსაც ძველის ნივთების დიდი კოლექცია თურმე აქვს, დაპირება თავისი კოლექცია ამ საზოგადოებას შესწიროს. მუზეუმისათვის ადგილი უკვე მზადდება თავად-აზნაურთა ბანკის ცხლანდელის სადგომის ქვემო სართულში.

\* \* \* გუშინ-წინ ამალღების დღეს ცალკე კრწანისისა და ცალკე ამალღების ეკლესიის მიდამო სოლოლაკში საესე იყო აუარებელის ხალხითა. კრწანისისკენ სოფ. თელეთში ამ დღეს დიდი დღესასწაულია და დიდ-ძალი მლოცავი მიდის იქ სალოცავად, თუ ქართველობა და თუ სომხობა. უწინ თელეთობა დღეს დიდი ჯიჩითი იცოდნენ, საღამოს ჟამს კიდე კრწანისის ეწირობებში იმართებოდა კრივი და ორთაქალის ბაღებში დიდი ქეიფი და მეჯლიშები. წელსაც დიდ-ძალს ხალხსა ჰხანავდით კრწანისისა და ამალღების ეკლესიის გარემოთა შორის. ძლიერ ქართული ჩაცმულობა, ქართული თავ-საკრავი და სარტყელი თავ-მარონებით მეფობდა საჯაროდ. საჩამოვნო იყო ეს სანახავი ქართველის კახა-მოართულობისა, მით უმეტეს, რომ სხვა-და-სხვა გვარ შეკრე-

ტის შემკვიდრეს. ეს გარემოება ისე შესანიშნავად ჩაითვალა, რომ ცნლა საფრანგეთის მმართველობას განზრახვა აქვს გრაფი პარიევილი განაძოს საფრანგეთიდან!

პორტუგალიის ხალხმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს დამოყვრება. მთელის ლისაბონის ქალაქი პორტუგალიის და საფრანგეთის დროებით იყო მოართული, დიდ-ძალი ხალხი ირეოდა ლისაბონის ქუჩებში ქორწილის დღეს. ვერ პირველად ხელმწიფე, დედოფალი, და შემკვიდრე თვით «მეფე» დიუკ ღე ბრავანსი დაიძინენ სასახლიდან ეკლესიაში წასასვლელად. ამ ლიტანიის თავში პირველად მოქცეული იყო მსროლელთა ჯარის «პიეტა». შემდეგ მას მოსდევდნ მრავალი კარის-კაცი, მდიდრულად ჩაცმულნი — ზოგნი ცხენით და ზოგნი ქვეითად. მათ თავში ოთხი მეჯინი-ბეთ უზუტესი მიუძღოდა: შემდეგ მოსჩანდა მდიდრად შემკული ისტორიული ეტლი «იოაო მე V-სია», შემბული რვა ჯორ ცხენითა, შიგ ისხდნენ ხელმწიფე, დედოფალი და მათი შემკვიდრე სამეფო. ეკლესიის კარებში დიდებულთ სტუმართ დაუხვდა კარდინალ-

ბულეზაში, როგორც არის ბაღები და ეწივრები, თავ-საკრავსა და ერთობ ქართულის მოართულობას ძნელად-ღა შეხედებით. კრწანისში დამოყენის ქუჩაზედ ღამის 12 საათამდე არ შეწყვეტილა სხვა-და-სხვა გუნდის დენა დასტა-დასტობით. თითოეულს ამ დასტაში თაიგული ექირა და თაიგულში გაკეთებული იყო ანთებული კარტოფილის სანთელი. დასტანი მწკრივად მოდიოდნენ წინ, თითქო ჯარის კაცნი არიანო; ნელა-ნელა ზურნითა და დაფით უშვებდნენ შუშუნებს და ბენგალის ცეცხლით ინათებდნენ გზას. ყოველივე ეს ერთად შეერთებული რალაც საოცნებო სურათს წარმოადგენდა მაყურებელს ღამის წყვილადში მეტად პოეტურ ადგილთა-შორის. ამ პროცესიის მნახველს უნებლიედ მოაგონდებოდა მწარე ბედი ქართველთა, რომლითაც აქ, კრწანისის ახლო, თავი დასდეს ალა-მამჰალ-ხანის შემოსევის დროს. ამ ხილვით გატაცებულს გონებას მოეჩვენა, თითქო ეს ამოდენა ხალხი სანთლებით და ყვავილებით მოსულა, რათა გმირთა სამარგვლდლოცვა და კურთხევა იგალობოს და მადლობის ცრემლი დაანთხიოს იქ, საცა დანთხეულია სისხლი მამულის ერთგულობისათვის

\* \* \* 26 მაისს ქუთაისის ოლქის სამსაჯულოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად ეწინა ათინიდა ნიჟარაძის საქმე, რომელსაც ბრალდება, რომ მონაწილეობა მიიღო თავის მეუღლის ოტია ნიჟარაძის სახელით ყალბის ანდერძის შედგენაში. ეს საქმე თურმე 1869 წელს დაწყებულია, მაგრამ, რადგან ბრალდებული საქმის დაწყების შემდეგ დაშლად ჩაეარდინოდა, საქმე დღემდის განუხილავდ დარჩენილა. ამბობენ, დანიშნულს ღლისათვის ბრალდებულს საკაცით მოიტანენ სასამართლოშია.

\* \* \* გუშინ დანიშნული ქართულ დრამატიულ დასის კრება ვერ შესდგა, რადგანაც საქირო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა. ერთი სასიამოვნო ამბავი მოხდა გუშინ კრებაზე, — ბნ როინაშვილმა საწვერო ფული შეიტანა ერთად — 100 მან. და 100

არქიერი. ამავე დროს მოვიდნენ გრაფი პარიევილი თავის მეუღლით და ქალით — „დედოფლით“. ეკლესიაში საგანგებოდ იყო ამითვის გამართული ბალდანი, რომელთა ქვეშ ხელმწიფე, დედოფალი და მათი ახალი „მოყვრები“ დასხდნენ. რამწამს პრინცესა ამელოია, რომლის მშვენიერება განთქმულია საფრანგეთში, ეტლიდან გადმომახდა, ერთბაშად ხალხმა გამარჯვების ყვირილი და ტაშის-კრა შექმნა. კარებში კარდინალი დაჰხვდა, და სადღეოფლო წითელ-ხავერდის ბალდანიის ქვეშ დააყენეს და ისე მიიყვანეს სავარძელთან, რომელიც შუა ეკლესიაში იდგა. დიუკ ღე ბრავანსი მხოლოდ მაშინ მივიდა თავის საცოლესთან, როდესაც იგი სავარძელზედ დაჯდა. ამ დროს გალობა დაიწყო. პირველი ლოცვა რომ გათავეს, კარდინალ-არქიერი წამოადგა, მივიდა მეფე-დეფოფალთან და მაღლის ხმითა ჰკითხა: „მათ დიდებულებას პორტუგალიის სამეფოს შემკვიდრეს ჰსურს თუ არა შეერთოს პრინცესა ამელია ორლეანისა?“ მინამ არქიერს პასუხს მისცემდა, შემკვიდრე ადგა და მივიდა ხელმწიფე და დედოფალთან, ესე

მანეთი კიდე სხვა-და-სხვა პირებმა შეიტანეს საწვერო ფული. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ სამი-ოთხი წელიწადი იქნება, რაც დრამატიულს საზოგადოებაში საწვერო ფული ორი გროში არ შესულა.

\* \* \* ამ წელს ტფილისის სასულიერო სემინარიიდან ერთს შეგირდს — ჭინჭარაძეს ჰგზავნიან აკადემიაშია.

\* \* \* წარსულ კვირას შემდეგი ამბავი მომხდარა ტფილისის რკინის გზაზე მატარებლის მოსვლის დროს ვილაცა გაწოლილა რკინის გზის ლიანდაგზე და თურმე აღარა დგებოდა. დაწოლილი შეუნიშნავეთ რკინის გზის სადგურზე მოსამსახურეთ, რის წვალებით აუყენებიათ და გადაურჩენიათ სიკვდილს, ამასთან კინალამ თითონ არ მოჰყოლიან ქვეშ. როცა უკითხავთ, თუ რაზედ იკლავდი თავსაო? — უპასუხნია, რომ «შიშლიმა შემაწუხა და სიკვდილი ვირჩიეო». მაშინვე მოუტრფიათ ცოტადენი ფული, მიუციათ ამ თავგანწირულ კაცისათვის და თვითონ კაცი ჭანდარმებისათვის გადაუციათ.

\* \* \* ტფილისის ქალაქის გამგეობას გარდაუწყვეტია, რომ ბელგიაში წყლის გასაყვან საქირო მაშინების მისაღებად ინჟინერი ბნი კონრადი გაგზავნოს. კონრადი ეხლავე წაუბელგიაშიაო.

\* \* \* მომავალს სამშაბათს, 27 მაისს ქართული დრამატიული დასი არწრუნისეულს თეატრში გამართავს წარმოდგენას. იმედია ამ წარმოდგენას საქირო ხალხი დაესწრობა, რადგანაც მონაწილეობა ჩვენ საუკეთესო არტისტებს აქვთ და შემოსავლიც საქველ-მოქმედოდ არის დანიშნული.

\* \* \* რუსეთის ვაჭრების სიტყვით, რამდენსამე სამთო ინჟინერს განუზრახავთ კავკასიაში ჩამოსვლა იმ აზრით, რომ ახლად ამოჩენილი ქვანახშირის მადნები შეამუშავონ. იმ გარემოებისა გამო, რომ ამ ქვამად ქვანახშირი ძალიან ხმარებაში შევიდა და ქვანახშირიდან აკეთებენ ტი-

იგი, დედ-მამასთან, დაიხოქა და ორივეს ხელზედ აკოცა, რათა მიეღო მათი დალოცვა. იგივე კითხვა არქიერმა მიჰმართა პრინცესა ორლეანისასა, რომელიც აგრეთვე თვის დედ-მამასთან მივიდა და მუხლ-მოდრეკილი დალოცვა სთხოვა. შემდეგ არქიერმა ბეჭდები უკურთხა და გარდასცა მეუღლეთა, და მათ ერთმანეთში შესცვალეს და ხელზედ გაიკეთეს. ამ დროს მთელ ლისაბონში, და ზღვაში ხომალდებზედ საშინელი ზარბაზნის სროლა და ზარების რეკა ასტყდა. გარედ მივიდნენ მდგომმა ხალხმა მუხლი მოიყარა და შესწირა ლოცვა მაცხოვარსა, ახლად დაჯეშირებულ მეუღლეთა საბედნიეროდ. ჯვარის-წერის შემდეგ ახლად დაჯეშირებულნი ერთად გადხდნენ ეტლში ჩასხდნენ, და სასახლემდინ ხალხის ლოცვითა და კურთხევით მივიდნენ.

\* \* \* 30-ს წარსულს აპრილს მადრიდში საშინელი ქარი ამოვარდა, რომელმაც ზარალის გარდა, მრავალი ხალხი დახოცა. მთელ ქალაქში ამ ქარმა ექვსი-ათასი მეტი ღიღროვანი ხეები

ლოულობის გასათეთრებელ წამალსა და ერთ გვარ ქიმიურ ნივთიერებას, რომელსაც «ხლორას» ეძახიან, ამ ქვამდ სდგება აქციონური საზოგადოება დიდის თანხით, რომელსაც განუზრახავს ქვანახშირის მადნების წარმოება.

\* \* \* ვლადიკავკაიიდან იწვრებიან, რომ 11 მაისს ვილაც უცნობ პირებს ვლადიკავკაზის რკინის გზაზე ამოუთხრიათ ვერის მანქანებელი ბოდი და კიდე ოთხი საყენის სარელსო ნიშანი. ერთი ამ ნიშანთაგანი გზის შუაზე დაუდგიათ. კიდე კარგი, რომ არაფერი უბედურება მოხდა, რადგანაც თავის დროზე შენიშნეს და აიღეს გზიდან. ეინ იყენენ ბოროტ-მოქმედნი, რომელთაც რამდენისამე ასის სულის სიკვდილი განიზრახეს, ვერ-ვერობით არავინ არ იცის, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, თუ სასტიკ გამოძიებამ ამის შესახებ ამოდ არ ჩაიაროს და აღმოაჩინოს დამნაშავენი, ღირსეულად დასასჯელად. (აკავაზია)

### ბანის ბაგო

„იკერიის“ უკანასკნელ ორ ნომერში გამოთქმული იყო საუკედური სთავად-სწავრო ბანკების ვითამ წუნის-მდებლუბზე. თურმე გადაკრით, მაგრამ დიდასკულისხმით კი, მეტ მესობდა ის სამღურავი. რადგანაც ამ შემთხვევაში ჩემი ბიზნადაზა გადაკვეთებულია საზოგადო-სზე, არ შემიძლია, რომ შეურაცხებოდ დაესტავო ის მოსხსენება და აი ჩემი გულწრფელი აღსარება: რაც მითქვამს დღემდე და ან ახლას რასაც ვამბობ, ის შეესობა და შეესება მხოლოდ ქუთაისის ბანკს; ტფილისის ბანკი არა შეინა სასეში და თუ ის მხოლოდ ერთ-გვარობის გამო ესახლება, მისი ნებაა. დავიწყებ თავადამ: იმერეთის თავად-სწავრობამ რაც ემუშაო ფული აიღო, ისე ომრად ჩაიარა, რომ იმ ფულს ენების მეტი ქვეუნიტის არა მოუტანია-რა. ამას ზოგაერთები წინდაწინვე ჰქვადგენ და, როგორც ეჩნა, ათისთავი იმ ფულს გადაურჩინეს მათდავე საშვილა-შვილო სასარგებლოდ. შესდგა დიდ-ძალი ფული. ჩემი სურვილი იყო, რომ იმ თავიდავე ის

მიწოდნენ ამოგლიჯა და გაფუჭა. მრავალ-ღიღროვან სახლებს ბანები მოჰგლიჯა, ქუჩაში გადმოყარა, და მრავალი ხალხი დაჟლიტა. მეორე დღეს თვით რეგენტმა-მეფა ქრისტინამ, რომელიც მაშინ ვერ კიდე ფეხ-მიმედ იყო, ქალაქი მოიარა, თუმცა ექიმებმა აღუკრძალეს ესა, და თავის ხელით ურიგებდა მოწყვლებას დაზიანებულთა და დაშავებულთა. ერთმა დედა-კაცმა წარუდგინა დედოფალს თავისი ხუთის წლის ბაშვი მძიმედ დაჭრილი. დედოფალმა რამდენიმე ოქრო მისცა დედასა, ყმაწვილი გულში მიიკრა და რამდენიმე ცრემლი დაღვარა. შემდეგ დედოფალი სამკურნალოში მიბძანდა, სადაც სამოცი მეტი დაჭრილი კაცი იწვა. მან შეუფხვნა ათი-ათასი ფრანკი დაჭრილებს და მოსთხოვა ბოდიში, ექიმები მიშლიან ეტლიდან ჩამოსვლასაო, და როდესაც განთავისუფლდები, უთუოდა გზახავთა.

\* \* \* დაუღალავი ემილ ზოლა, თურმე კიდე ახალ რომანსა სწერს, რომელსაც ერქმევა სახელად «მიწა». მე

ფული შეეტანათ სასარგებლოდ სადმე და ის სარგებელი მოეხმარათ ღირსების შეილების გამოსწორებლად, მაგრამ უფური სურვილი, რასაკვირველია, მხოლოდ სურვილადვე დარჩა და ის ფული რამდენიმე წლის განმავლობაში ისე უმოძრაო იდგა, რომ თითქმის თავისი ცოლი სარგებელი დაეკარგეთ და თავისაც რამდენიმე სამოკვლეო. ბოლოს მოინდომეს ბანკის გამართვა, მაგრამ მე ვიწინააღმდეგე ვიფე, და სახელმძღვანელო მიუწყებთაც შემდეგი მოაზრება შეინდა: კარგი რამ და ან ზვი თავისთავო-ბით არ იქნება. შედარებითა დირსება. ყოველივე ეს შესაფერი დრო ეჭირება და მოსდენილი ნიდავია.

რაც ერთ დროს კარგია, შეიძლება ისევე მეორე დროს ცუდი იქნეს და რაც ერთს ადგილას სასარგებლოა, იმან მეორე ადგილას ენების მეტი ვერა მოიტანოს-რა. ამ საზოგადო განაჩენს ვერ წაუვიდოდა, რასაკვირველია, ვერც ბანკი. ჩვენმა სახლმა, ქართველმა, დღესაც არ იცის, თუ როგორ უნდა მოხსარება ფულისა: — ან უნდა შესწამოს და ან კილა-ბანში ჩადვას უმოძრაოდ... ამ ორ გზას ვერ ასდგება. როგორც სამუშაო ახალ-ღის ასუ გასაცვლელ-გამოსაცვლელ-შუამავალს, ფულს ის ვერ წარმოადგენს; და არა თუ ქართველი, ზვიდოთ ვინ და სახსინც, ის ჩამომაგლობით ვაჭრები, რომლებიც მეუღამ ეფიქრობენ და გაიხსინან:...! იმათაც ვერ უსწავლათ ვეროვანად ფულს წინ წამოღება: ვიარათით, ე. ი. ტუნწობით და თავის დაკლებით ფულს შეგროვება, ტუნწობით ან გავოტრებით შექება, სხვისი მოტყუებით გამდიდრება კიდევე არა ნიშნავს ფულის მოხმარებას. ეს თარეობაა მხოლოდ და უდიდისი უკუღმართობა. და თუ ვაჭრებსეც კა ამ ჰსწრისა ვიყუთ, მაშ რაღა უნდა მოგვეთხოვა ისტორიულად მეომარ და მიწის მუშა ქართველებისთვის? ცნადი იყო, რომ ისინი ბანკიდან ადვილად გამოტანნილ ფულს, იმავე დღეს დაუწყებდნენ რაც ემუშა ადებულს; მხოლოდ იმ განსსკვებით, რომ ამ მეორე შემთხვევაში, ფული ვადავ აწკებდათ. არ გაუგლია დღისას, რომ ის ჩვენი წინა-მოაზრება, სამწუხაროდ, გამართლდა: ფუთ ადვილად გამოქონდათ და სარგებლას მტანის დროს კი ხელ-წარეილება რჩებოდას. რასაკვირვე-

მინდაო, ამბობს ზოლა, მკითხველს ვაჩვენოო მიწა, შეუთქობრად, როგორც ბუნებას გაუჩენიაო. აგრეთვე მინდა გამოვიყენო სიყვარული გლეხისა მიწისადმიო და მისი სურვილი შესაძენად მიწისა, რომელიც გლეხის თვალში პირველი სიმდიდრეაო. რომანში იქნება გამოყვანილი გლეხიო, რომელსაც არა ჰქონდა-რაო და ერთბაშად მიწის პატრონად ვახდაო. აგრეთვე გამოყვანილი იქნება მიწათმფლობელთა დამკირება, მიწის გაყოფის მიზეზითა, მისი შედეგო და რა მოჰყვება ამ ამბავს მომავალშიო. აეტარი შეეხება გლეხის პოლიტიკურ მნიშვნელობას; რა იყო იგი წარსულს დროს და რა მოვლის შემდეგში. ამ რომანის შემდეგ ზოლა კიდე ოთხ რომანს აპირებს, და მით გათავებს «სოციალურ ისტორიას რუგონებისას.» შემდეგი რომანები წარმოადგენს: პირველი — რკინის გზის ხალხთა ცხოვრებას, მეორე — სამხედრო ცხოვრებას, მესამე — ფინანსის და ჟურნალისტების ცხოვრებას, და მეოთხე — იქნება ყველა ზოლის ნაწერის დასკვნა.

ღონ ენ.

ლას, რომ მამა-მამისკურთხედის დაკარგვა...

მამა-სისხლად იღებდნენ განზე სადმე სესხს და მით კიდევ უარესს საფრთხეში...

ბანკიც იგივე რელიქტა იყო ჩვენის მო- უმსადაველ სახლისათვის და მიტოვდა...

დროს სადრეკეტოები სიტყვას აძლე- დნენ რომელიმე გუგულისა ზინას: „ოღონდ...

ამ ვაჭარბატონის წყალობით ქუთაისის ბანკი...

ამ ამავესა, — ამბობს გაზეთი „Русский курьер“...

გაზეთი არ ეთანხმება გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს, რო- ძელიც ამბობს: მთავრობის შინ დაბრუნებამ...

ფილოს წასულია და მამასადამე შინ დაბრუნებას აქ რა ადგილი აქვს...

იმითმ კი არ გამოიყვალა ახალ- გაზღობა...

ამ დღეებში რამდენიმე კურად- ლების ღირსი საქმე გაიჩნა ტფი- ღლის საოლქო სასამართლოში...

ეს ძალიან კარგი, ამბობს გაზეთი „Юридическое Обозрѣние“...

ამ გარემოების მიზეზად გაზეთი იმას ასახელებს, რომ ხალხისა და მოსამართლეთა შორის არაფერი შემაერთებელი...

შესანიშნავი ამ საქმეში კიდევ ის არის, რომ განაგრძობს გაზეთი, რომ ხალხი ერთმანეთს ვერ იშორებდა...

სასამართლოს წინაშე, რომ ევლანოვი, როგორც მომრიგებელი მოსამართლე...

ღიბდაც შესანიშნავია, დავუმა- ტებთ ჩვენის მხრით, მაგრამ აქ საოცარი კი არა არის-რა...

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისი გერმანიას და- მუკაბრებას. ამის მიზეზი ესტონელი მინისტრის გარეშე საქმეებისა...

20 მაისს უნდა გადაწყვიტდეს, რას იტყვას ინგლისი მთავრად წავი- თვის დროს ინგლისის განზრახვებ- ტის გამო...

რუმინია. რუმინიასა და ავსტრიის შორის გატანებული ომის, მაგრამ ამ ომში თითქმის და სარბასანი-კი არა...

ინგლისის ფილტვი. გაზ. La Nature- ში დაიბეჭდა ფილტვის ანგარიში, რომელშიაც ბევრი სასაცილო ამბავი მოხსენიებული...

სურბის გაზეთებს ძალიან თურმე მოსწონთ, რომ ასრე მატარებ დაუგა- რუმიანს ავსტრიისა და მის საბაჟო მექა- რას არ შეუძინდა...

მედიკოსი. ასე იქცევა სურბისა და სხვა ბალახის სასქელწიფოთაცა მამართა...

შენიშვნა

თქვენ პატრიცეულ გაზეთს მე 89 №-ში დაბეჭდილი იყო ამბავი, ვითომ მე მეყიდნოს ელაცა თათრისაგან...

ჭოტოგრაფი ა. როინაშვილი

გასართობი

საქალაქები ვაგზავთოვის. საფრანგეთის მთავრობა ამ უამად საცლოვებსა სქე- მის ვაგზავთოვის კალენდონიაში...

გაზეთებისა და ჟურნალების ლექ- სიკონი. ნიკოლოზ ბერნარდინი იტალია- ში ამ უამად უშედეგებელ ლექსიკონს არ- გენს...

ინგლისის ფილტვი. გაზ. La Nature- ში დაიბეჭდა ფილტვის ანგარიში, რომელშიაც ბევრი სასაცილო ამბავი მოხსენიებული...

